პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 134 (9910) | სამშაბათი, 8 ივნისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XI ყრილობას (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა (1-ლი და მე-2 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. — **კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო.** — ამხ. **ო. ა. ბიბილეიშვილის** და დეპუტატ **ზ. ნ. კეცხოველის** სიტყვები (მე-2 გვერდი).

კორეის საკითხის შესახებ ჟენევის კონფერენციის [illegible] შირის საგარეო საქმეთა მინისტრის [illegible] 1954 წლის 5 ივნისის განცხადება (მე-3 [illegible]).

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XI ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XI ყრილობას და პროფკავშირთა წევრების მთელ მრავალმილიონიან არმიას, ჩვენს სახელოვან მუშათა კლასს და ჩვენს საბჭოთა ინტელიგენციას.

საბჭოთა პროფკავშირები სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე ახორციელებდნენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია საბჭოთა სახელმწიფოს ძლევამოსილების გაძლიერება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის განუხრელი აღმავლობა.

თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო ძლიერდება საბჭოთა პროფკავშირების, როგორც კომუნიზმის სკოლის, როგორც მასების მებრძოლი ორგანიზატორების მნიშვნელობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა პროფკავშირები გააძლიერებენ საბჭო თავიანთ როლს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, უფრო აქტიურად დაეხმარებიან პარტიას მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, მათი შემოქმედებითი ძალების მობილიზაციაში სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ პროფკავშირებს დაუცხრომლად ავითარონ სოციალისტური შეჯიბრება მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში, მშრომელთა ინიციატივა და ენერგია წარმართონ საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის და სოციალისტური ეკონომიკის რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის. პროფკავშირები სათავეში უნდა ჩაუდგნენ საყოველთაო-სახალხო მოძრაობას, რომელიც ჩაღდება შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ წარმოების მოწინავეთა და რაციონალიზატორთა გამოცდილება, დახმარება გაუწიონ ჩამორჩენილ საწარმოებს მოწინავეთა დონემდე ასვლაში, იზრუნონ შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

პროფესიული კავშირების წმიდა მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა პროფკავშირებმა მეტი სიმტკიცე და ინიციატივა უნდა გამოიჩინონ მუშებისა და მოსამსახურეების შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, ბინების, სკოლების, კლუბების, საავადმყოფოების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების მშენებლობის სახელმწიფო გეგმების უთუოდ შესრულების უზრუნველყოფაში, აგრეთვე ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების საწარმოების და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაში. საჭიროა განსაკუთრებული გულასხმიერება გამოიჩინონ მუშა დედებისადმი, ხელი შეუწყონ მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, მეტი ყურადღება მიაქციონ სკოლებს, საბავშვო ბაღებს, ბაგებს, პიონერთა ბანაკებს. პროფკავშირები მოწოდებული არიან უფრო მტკიცე ბრძოლა აწარმოონ მშრომელთა მოთხოვნილებისა და საჭიროებისადმი გულგრილობისა და უყურადღებობის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, იბრძოლონ საბჭოთა და სამეურნეო დაწესებულებებისა და პროფკავშირული ორგანოების აპარატის მუშაობის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა პროფკავშირებმა მუდამ უნდა გააფართოონ და გაღრმაონ თავიანთი კავშირი მშრომელებთან, აღმოფხვრან თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული მეთოდები, გააძლიერონ ყველა მუშისა და მოსამსახურის აქტივობა და თვითმოქმედება, დაუცხრომლად იზრუნონ პროფკავშირთა წევრების პოლიტიკური და ზოგადი განათლების დონის ამაღლებისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დარწმუნებული არიან, რომ პროფესიული კავშირები, ფართოდ გაჩაღებული დემოკრატიის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის და პროფკავშირთა წევრების აქტივობის გაძლიერების საფუძველზე, აღმოფხვრიან თავიანთ საქმიანობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს და ყოველივეს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები.

საბჭოთა პროფკავშირები მუდამ იყვნენ მშვიდობის საქმისათვის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეჭვი არ ეპარებათ, რომ საბჭოთა პროფკავშირებს კვლავაც მაღლა ეკავებათ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა, იქნებიან, როგორც ყოველთვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცებისათვის კეთილშობილური ბრძოლის ავანგარდში.

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის სახელოვან მუშათა კლასსა და სახალხო ინტელიგენციას!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ცალკე წიგნად გამოიცა ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ვ. მ. მოლოტოვის წიგნი „სიტყვები სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე 1954 წლის 25 იანვარს — 18 თებერვალს“. (საკადესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

ნიკოლოზ ანდრიას-ძე ყიფშიძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ნ. ა. ყიფშიძის დაკრძალვის მოსაწყობად შეიქმნას კომისია ამხანაგების: გ. გ. მამამთავრიშვილის (თავმჯდომარე), გ. ს. ძოწენიძის, ვ. დ. ეპიტაშვილის, ლ. ზ. გომელაურის, ი. ტ. მენთეშაშვილის შემადგენლობით

2. ნ. ა. ყიფშიძის დაკრძალვა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

3. დაევალოს კომისიას წარადგინოს წინადადებანი ნ. ა. ყიფშიძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა

7 ივნისს მოსკოვში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XI ყრილობამ.

ყრილობის გახსნამდე კარგა ხნით ადრე კრემლის დიდი სასახლის დარბაზებში შეიკრიბნენ საბჭოთა მუშათა კლასის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სსრ კავშირის ხალხთა სახელოვანი შვილები, რომლებიც მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან. პროფკავშირთა ყრილობაზე არჩეულია 1.364 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ პროფკავშირთა წევრი მუშებისა და მოსამსახურეების ორმოცმილიონიან არმიას.

ესწრება მრავალი სტუმარი — მრეწველობის ნოვატორები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სავსეა უცხოელი სტუმრების ლოჟები. სსრ კავშირის პროფკავშირთა ყრილობაზე ჩამოვიდნენ უცხოეთის ბევრი პროფკავშირული და მუშათა ორგანიზაციების დელეგაციები. ესწრება პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის დელეგაცია ფედერაციის გენერალური მდივნის ლუი საიანის მეთაურობით.

დღის 12 საათია. პრეზიდიუმის მაგიდასთან ადგილს იკავებენ საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნები, ლოჟებში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. პ. ნ. პოსპელოვი, ამხ. მ. ა. სუსლოვი. დელეგატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და მიესალმებიან მათ მქუხარე ხანგრძლივი ტაშით.

ყრილობას ხსნის საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნ. მ. შვერნიკი.**

სრულიად საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს სახელით იგი მხურვალედ მიესალმება ყრილობის დელეგატებსა და სტუმრებს — უცხოეთის პროფკავშირული და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

ყრილობამ ფეხზე ადგომით სცა პატივი დიდი ბელადის, ლენინის უკვდავი საქმის განმგრძობის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის ნათელ ხსოვნას.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს. პრეზიდიუმის შემადგენლობაში — 67 კაცს. მათ შორის არიან მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ცნობილი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორები, კულტურის მოღვაწენი: ჩვენს ქვეყანაში პირველი ქალთა სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი პ. ნ. ანგელინა, ბურღვას ოსტატი სტალინური პრემიის ლაურეატი ყურბან აბასოვი, წარჩინებული ფიზიკური ლ. ი. ანანიევა, თბომავლის მექანიკოსი სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. ი. ბურლაკოვი, ჩქაროსანი ხარატი სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ბ. ბიკოვი, სოციალისტური შრომის გმირი კომბაინერი ი. პ. ვარაკინი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ე. ნ. გოგოლევა, კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის მვალცავი სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ვ. ზავარიკინა, რსფსრ დამსახურებული ექიმი ე. ტ. ზიკოვა, ბოქსიტის მაღაროების გვირაბგამყვანი სტალინური პრემიის ლაურეატი მიგმაჯან მინზარაპოვი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი მეხბორე ნ. ა. სმირნოვა, სტალინური პრემიის ლაურეატი კალატოზი ი. პ. შირკოვი, ორთქლმავლის მემანქანე სტალინური პრემიის ლაურეატი გ. ს. შუმილოვი და სხვები.

დიდი აღმავლობით ირჩევენ ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ვოროშილოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, გ. მ. მალენკოვს, ა. ი. მიქოიანს, ვ. მ. მოლოტოვს, მ. გ. პერვუხინს, მ. ზ. საბუროვს, ნ. ს. ხრუშჩოვს.

შემდეგ ირჩევენ ყრილობის სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიებს. იღებენ შემდეგ დღის წესრიგს:

1. სრულიად საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს საანგარიშო მოხსენება.

2. საკავშირო პროფსაბჭოს ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.

3. ცვლილებანი სსრ კავშირის პროფესიული კავშირების წესდებაში.

4. სრულიად საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნები.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **მ. ა. სუსლოვს,** რომელსაც დამსწრენი გულთბილად ხვდებიან. იგი აქვეყნებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას ყრილობისადმი. დამსწრენი ფეხზე ადგომით, მხურვალე ოვაციით უპასუხებენ მისალმების სიტყვებს საბჭოთა პროფკავშირების — კომუნიზმის სკოლის პატივსაცემად, საბჭოთა კავშირის სახელოვან მუშათა კლასისა და სახალხო ინტელიგენციის პატივსაცემად, დიდი სოციალისტური სამშობლოს პატივსაცემად.

შემდეგ ყრილობა შეუდგა პირველი საკითხის განხილვას. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. **ნ. მ. შვერნიკს,** რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად ხვდებიან.

— კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, — ამბობს იგი, — საბჭოთა პროფკავშირებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მუშებისა და მოსამსახურეების ფართო მასების მობილიზაციაში სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

იბრძვიან რა სოციალისტური ეკონომიკის განუხრელი განვითარებისათვის, სსრ კავშირის პროფკავშირებმა, რომლებიც შექმნა და აღზარდა კომუნისტურმა პარტიამ, განამტკიცეს თავიანთი რიგები, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმეს მუშები და მოსამსახურენი პარტიისა და მთავრობის გარშემო, რომელთაც მტკიცე რწმენით მიჰყავთ წინ ჩვენი ქვეყანა იმ გზით, რომელიც დაგვისახეს ვ. ი. ლენინმა და ლენინის საქმის დიდმა განმგრძობმა ი. ბ. სტალინმა.

ამხ. შვერნიკი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება ყრილობის დელეგატებმა მოისმინეს დიდი კმაყოფილებით, უდიდესი სიხარულისა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით.

— ნება მიბოძეთ, — აცხადებს ნ. მ. შვერნიკი დელეგატებისა და სტუმრების ტაშის გრიალში, — ყრილობის სახელით პირობა მივცე ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენს მთავრობას, რომ საბჭოთა პროფკავშირები მუშებსა და მოსამსახურეებს დარაზმავენ ახალი შრომითი აღმავლობისათვის მთელი იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომელთა გადაჭრაზე დაუცხრომლად მუშაობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს წარმატებებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვეს. მას მოჰყავს ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს პროგრამას, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ დასახა. სოციალისტური მრეწველობა ვითარდება ისეთი ტემპით, რომელზე ოცნებაც კი არ შეუძლიათ ყველაზე დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. გასულ წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1950 წელთან შედარებით 45 პროცენტით გადიდდა. საბჭოთა საწარმოებში განუწყვეტლივ დიდდება პროდუქციის გამოშვება, უმჯობესდება მისი ხარისხი, მცირდება თვითღირებულება. პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით 1953 წლის მეორე ნახევარში მრეწველობამ 30 მილიარდი მანეთისაზე მეტი სახალხო მოხმარების საქონელი გამოუშვა, ვიდრე პირველ ნახევარში. მომდინარე წელს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1950 წელთან შედარებით გადიდდება დაახლოებით 60 პროცენტით. ამრიგად, მეხუთე ხუთწლიანი გეგმის დავალება ჩვენს ქვეყანაში წარმატებით შესრულდება მთლიანად და გადაჭარბებით.

სხვა მდგომარეობაა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, სადაც დღითიდღე ძლიერდება ეკონომიკის მილიტარიზაცია და გამალებული შეიარაღება, რომლებიც იწვევენ ერთი მუჭა კაპიტალისტური მონოპოლიების საზღაპრო გამდიდრებასა და მილიონობით მშრომელთა უმაგალითო გაღატაკებასა და გაჩანაგებას. სულ უფრო ფართოდ ავრცელებს თავის გამანადგურებელ მოქმედებას მზარდი ეკონომიური კრიზისი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის შედეგები თავს იჩენენ თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმოებს სამრეწველო წარმოების დაქვეითება. იქ ამჟამად ითვლება 15 მილიონამდე მთლიანად და ნაწილობრივ უმუშევარი. მცირდება მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. ცხოვრების ღირებულება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1953 წლის მეორე ნახევარში 1947 წელთან შედარებით გადიდდა 21 პროცენტით, ინგლისში — 40 პროცენტით, იტალიაში — 23 პროცენტით. განსაკუთრებით მძიმე პირობებში არიან კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მშრომელები.

— უუფლებო მდგომარეობა და აუტანელი ჩაგვრა, — აღნიშნავს ორატორი, — იწვევს ხალხის მასების ძლიერ უკმაყოფილებას, აძლიერებს საგაფიცვო მოძრაობას კაპიტალის ქვეყნებში. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელება მტკიცედ ირაზმებიან თავიანთი საარსებო უფლებებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად. საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა წარმატებანი, რომლებიც მუშაობენ თავისთვის და არა კაპიტალისტებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელებს უნერგავენ რწმენას, რაზმავენ კაპიტალისტური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად.

შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს სახალხო მეურნეობის განვითარებაში პროფკავშირთა მონაწილეობაზე, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საკითხებზე. შეჯიბრების მსვლელობაში გაიზარდნენ საწარმოთა ნოვატორებისა და მოწინავეების მრავალრიცხოვანი კადრები.

წარმოების ნოვატორები არიან ყველაზე კვალიფიციური და ტექნიკურად მცოდნე მუშები, რომლებიც დაუცხრომლად აელინებენ წარმოების სულ ახალ-ახალ რეზერვებს, უნარიანად იყენებენ ტექნიკას, ახლებურად აწყობენ თავიანთ შრომას. ესენი არიან ჩვენი საზოგადოების მოწინავე მშრომელები, რომელთაც მხარი უნდა გაუსწოროს ყველა მუშამ და მოსამსახურემ. პროფკავშირთა ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი გამოცდილებასა და ინიციატივას, მუშებისა და მოსამსახურეების ფართო მასების კუთვნილება გახადონ ისინი.

ჩვენს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, ამბობს ორატორი, აქვს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი გადიდების უდიდესი შესაძლებლობანი. ამავე დროს ბევრ საწარმოსა და სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ამ შესაძლებლობებს მეტად არასაკმაოდ იყენებენ. თუ მუშათა შრომის ნაყოფიერებამ მთელ მრეწველობაში უკვე 1948 წელს მიაღწია და გადააჭარბა ომამდელ დონეს, ქვანახშირის მრეწველობაში იგი მიღწეულ იქნა მხოლოდ 1951 წელს, ხოლო ზოგიერთ შახტში ახლაც არ არის მიღწეული. არადამაკმაყოფილებელია შრომის ნაყოფიერების ვეგმის შესრულების საქმე სატყეო მრეწველობასა და მშენებლობაში.

ნოვატორთა ბევრი ძვირფასი წამოწყება კი ფართოდ არ ვრცელდება. ამაში ხშირად ბრალი მიუძღვით სამინისტროებისა და საწარმოების და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ზოგიერთი პროფკავშირული მუშაკი უარს არ იტყვის მოაწონოს მოწინავეთა ესა თუ ის წამოწყება, მიიღოს გადაწყვეტილება, იხმაუროს, იალაპარაკოს მის გავრცელებაზე, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებს ამ საკითხში.

პროფკავშირებმა და პირველ რიგში საკავშირო პროფსაბჭომ ნაცვლად იმისა, რომ სათავეში ჩაუდგნენ მასების ბზარდ შემოქმედებით აქტივობას, უკანასკნელ წლებში შეასუსტეს ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრებისადმი, ხოლო წარმოების ნოვატორთა გამოცდილების გავრცელება არ გაუხდიათ მთავარ საქმედ თავიანთ საწარმოო-მასობრივ მუშაობაში.

სოციალისტური შეჯიბრება ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა. იგი ვერ ითმენს ფორმალიზმს, კაზიონურობას. ბევრ საწარმოში კი პროფკავშირული ორგანიზაციები შეჯიბრების განვითარების ორგანიზატორულ მუშაობას ხშირად ცვლიან სხვადასხვაგვარი ცნობებისა და ანგარიშების შედგენით შეჯიბრებულთა აღრიცხვის მრავალი ფორმისა და ბლანკის შემუშავებით. დამყარდა სრულიად საბჭოთა კავშირის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების ბიუროკრატული პრაქტიკა. აჯამებდნენ რა შეჯიბრების შედეგებს, საკავშირო პროფსაბჭო, პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები და სამინისტროები ყურადღებას აქცევდნენ მხოლოდ მოწინავე საწარმოებს, არ სწავლობდნენ ფაბრიკებისა და ქარხნების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ჩამორჩენის მიზეზებს, არ სახავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს, რათა ჩამორჩენილი საწარმოები აეყვანათ მოწინავეთა დონემდე. საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები უნდა იბრძოდნენ შეჯიბრებაში ყველა მუშისა და მოსამსახურის აქტიურად მონაწილეობისათვის, ეხმარებოდნენ მათ შრომის მაღალ ნაყოფიერების მიღწევაში.

მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა საწარმოო თათბირები, რომლებიც ბევრ საწარმოში მასების კომუნისტური აღზრდის ნამდვილი სკოლა გახდნენ.

საჭიროა გაუმჯობესდეს პროფკავშირთა მუშაობა მუშათა გამომგზავნელობისა და რაციონალიზატორობის განვითარებისათვის, შრომის დისციპლინის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებისათვის. საკავშირო პროფსაბჭომ და პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ხელფასის რეგულირების საკითხებს, მიაღწიონ მუშებისა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაში გათანაბრების ლიკვიდაციას.

მომხსენებელი ლაპარაკობს პროფკავშირთა მონაწილეობაზე სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. პროფკავშირული ორგანიზაციები ახორციელებენ ახალი მიწების ათვისების რაიონებში მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკების კულტურული მომსახურების დიდ ღონისძიებებს. ისინი აწყობენ სოციალისტურ შეჯიბრებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდისათვის, პირუტყვის სულადობის შემდგომი გამრავლებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სრულად გამოყენებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმებმა დასახეს ამოცანა — ავამაღლოთ სასოფლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის დონე, გამოვაცოცხლოთ კლუბებისა და ბიბლიოთეკების საქმიანობა, რეგულარულად ვუჩვენოთ კინოფილმები, გავაძლიეროთ სოფლების რადიოფიკაცია. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველ მანქანა-ტრაქტორთა სადგურთან, ყოველ საბჭოთა მეურნეობასთან გაიხსნას წითელი კუთხე და მოძრავი ბიბლიოთეკა. პროფორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მომთხოვნელობა მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ხელმძღვანელებისადმი, რომლებიც მოვალენი არიან გამოჰყონ შენობები წითელი კუთხეების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მოსაწყობად.

მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ორგანიზაციაში, მაღალი ინდუსტრიული კულტურის დანერგვაში დიდი სამეფო დახმარების გაწევა შეუძლია სამრეწველო საწარმოების კოლექტივებს.

ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის, ამბობს ამხ. შვერნიკი, ჩვენი პარტიისა და მთავრობის უმაღლესი კანონია. ეს ზრუნვა მკაფიოდ გამოიხატება მუშათა კლასისა და გლეხობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელი ამაღლებით, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების თანმიმდევრული შემცირებით, საბინაო და კულტურული მშენებლობის ფართო გაქანებით. 1954 წელს საბინაო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა გასულ წელთან შედარებით 35 პროცენტით გადიდდა. მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასები ახლა თითქმის 2,4-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე 1947 წელს. წლითიწლობით დიდდება სახსრები სოციალური დაზღვევისათვის, რომლებიც წელს 24,7 მილიარდ მანეთს შეადგენს. პროფკავშირთა X ყრილობის დროიდან სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა გაეწია 13 მილიონ მუშასა და მოსამსახურეს. მათი 12 მილიონი შვილი პიონერულ ბანაკებში იყო.

მაგრამ ჩვენ გვყავს სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელები, ნათქვამია შემდეგ მოხსენებაში, რომლებიც არ ზრუნავენ მშრომელთა მატერიალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. საბინაო მშენებლობის გეგმას სისტემატურად ვერ ასრულებენ ნავთობის მრეწველობის სამინისტრო, მშენებლობის სამინისტრო, ცუდად ეწევიან საბინაო მშენებლობას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო. პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტებმა, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივმა კომიტეტებმა უნდა შეამოწმონ სახლების, საერთო საცხოვრებლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის მსვლელობა, კონტროლი გაუწიონ ბინების განაწილების სისწორეს, თვალყური ადევნონ საცხოვრებელი ფონდის რემონტს.

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაფართოებას. მიუხედავად საცალო საქონელბრუნვის ზრდისა და საზოგადოებრივი კვების მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ამ

(დასასრული მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XI ყრილობა

(დასასრული)

საქმეში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მაღაზიებში ყოველთვის როდი შეაქვთ საჭირო ასორტიმენტის საქონელი, ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი სასადილოები, რომლებშიც უგემურ სადილებს ამზადებენ. პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტები და პროფკავშირთა სამჭოები მოვალენი არიან უზრუნველყონ ყოველდღიური კონტროლი მაღაზიებისა და სასადილოების მუშაობისადმი, მოაწყონ მტკიცე ბრძოლა საბჭოთა ვაჭრობის პრინციპების დარღვევათა წინააღმდეგ, იბრძოლონ მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით დიდდება სახელმწიფოს ხარჯები სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევისათვის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის. 1954 წელს ეს ხარჯები გადიდდა 141 მილიარდ მანეთამდე. 1953 წელს ხარჯები მუშებისა და მოსამსახურეების პენსიებით უზრუნველყოფისათვის 1940 წელთან შედარებით ერთოოთხად გადიდდა. სწრაფად იზრდება სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი.

შემდეგ მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს პროფკავშირთა დიდმნიშვნელოვან როლს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. პარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირები ეწევიან მრავალფეროვან კულტურულ-მასობრივ მუშაობას საწარმოებსა და დაწესებულებებში, საერთო საცხოვრებლებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში. ისინი აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს, წარმოების ნოვატორებთან შეხვედრებს, დასვენების საღამოებს, დახმარებას უწევენ მუშებს კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში. ორ მილიონზე მეტი მუშა და მოსამსახურე მეცადინეობს მხატვრული თვითმოქმედების წრეებში. მაგრამ პროფკავშირთა კულტურული მუშაობის გაქანება და იდეური დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს. უნდა აღმოვფხვრათ კულტურულ დაწესებულებათა პრაქტიკიდან კაზიონურობა, ერთფეროვნება, უზრუნველყოთ, რომ მათ მუშაობას ჰქონდეს ღრმა იდეური შინაარსი, იყოს წარმტაცი. საანგარიშო პერიოდში პროფკავშირებმა განახორციელეს ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების განმტკიცების მთელი რიგი ღონისძიებანი, მოამზადეს ასეულ ათასობით აქტივისტი — ორგანიზატორები და ინსტრუქტორები. ფიზკულტურის კოლექტივებისა და ფიზკულტურელთა რაოდენობა ამ ხანში ერთი-ორად და მეტად გადიდდა. პროფკავშირთა ნებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოებებმა მოამზადეს მილიონზე მეტი კვალიფიციური სპორტსმენი. სსრ კავშირის ყველა რეკორდის და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონობის წოდებათა ნახევარი ამჟამად პროფკავშირთა სპორტსმენებს ეკუთვნით.

ამასთან ერთად ცუდი ხელმძღვანელობის გამო ბევრ ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებაში მუშებსა და მოსამსახურეებს ნაკლებად აბამენ ფიზკულტურისა და სპორტის მეცადინეობაში.

მთელ რიგ ფიზკულტურულ კოლექტივებში სუსტად არის მოწყობილი სასწავლო-სპორტული მუშაობა, ფიზკულტურელთა მომზადება „ მშთ“ კომპლექსზე და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადება. არის ნაკლი ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებაშიც.

შემდეგ ამხ. შვერნიკი დაწვრილებით ლაპარაკობს პროფკავშირთა ამოცანებზე ორგანიზაციული მუშაობის დონის ამაღლებაში. XI ყრილობის წინ იმართებოდა პროფკავშირული ორგანოების საანგარიშო მოხსენებანი და არჩევნები. პროფკავშირთა კომიტეტების საქმიანობა განიხილებოდა გაჩაღებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის პირობებში. პროფკავშირთა წევრების გამოსვლები გამსჭვალული იყო იმისათვის ზრუნვით, რომ პროფკავშირები კვლავაც იყვნენ პარტიის მებრძოლი თანაშემწეები, რომ ძლიერდებოდეს მათი როლი სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკავშირო პროფსაბჭომ, პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პროფკავშირთა საბჭოებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ კადრებთან მუშაობა, განამტკიცონ კავშირი მასებთან. საკავშირო პროფსაბჭოს, ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო კომიტეტებისა და პროფკავშირთა საბჭოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი კანცელარიულ-ბიუროკრატული სტილი. საკავშირო პროფსაბჭოს განყოფილებანი და სამმართველოები სუსტად იყვნენ დაკავშირებული პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, ნაკლებ ეხმარებოდნენ მათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

შემდეგ ამხ. შვერნიკი გადადის საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა პროფკავშირების მონაწილეობასთან საერთაშორისო მუშათა ერთიანობის განმტკიცებისათვის, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში. საბჭოთა პროფკავშირები, რომლებიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული არიან, მტკიცე მეგობრულ ურთიერთობასა და მჭიდრო თანამშრომლობას ამყარებენ ყველა ქვეყნის მუშათა კლასთან და პროფკავშირებთან. 1949 წლიდან საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა უცხოელი მუშების 463 დელეგაცია 62 სახელმწიფოდან. ამავე ხნის განმავლობაში საბჭოთა პროფკავშირების 269 დელეგაცია გაემგზავრა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უცხოეთის პროფკავშირთა მიწვევით.

— უდიდესი კმაყოფილების გრძნობით, — ამბობს ამხ. შვერნიკი, — შეგვიძლია განვაცხადოთ დღეს, რომ ძმური ურღვევი მეგობრობა და მტკიცე კავშირი გვაქვს დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო-რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შრომელებთან. განმტკიცდა და უფრო მჭიდრო გახდა საბჭოთა პროფკავშირების კავშირურთიერთობა კაპიტალისტური და კოლონიური ქვეყნების მუშათა კლასთან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან.

საბჭოთა პროფკავშირები გაერთიანებული არიან უცხო ქვეყნების მშრომელებთან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში, რომელიც მკაფიოდ გასასახიერებს საერთაშორისო პროფკავშირულ ერთიანობას, მუშათა კლასის უკეთესი ცხოვრებისათვის, დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა პროფკავშირები კვლავაც უცხო ქვეყნების მშრომელებთან ხელახლიჩაკიდებულნი დაიცავენ მშვიდობის დიად საქმეს, მთელი ძალებით შეუწყობენ ხელს მშრომელი კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის წარმატებას.

ამთავრებს რა მოხსენებას, ამხ. შვერნიკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პროფესიული კავშირები არიან კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე და საიმედო დასაყრდენი იმ საქმეში, რომ მშრომელები აღზარდონ სამშობლოს ერთგულ, კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებლად. სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ზრდისათვის ბრძოლაში პროფესიული კავშირები კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ მშრომელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიის გარშემო.

მომხსენებლის ბოლო სიტყვებს, როცა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან. ყველანი ფეხზე დგებიან.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა საკავშირო პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე. მ. სავკოვის მოხსენება.

ამით დამთავრდა სსრ კავშირის პროფკავშირთა ყრილობის პირველი სხდომა. (საკდესი).

თბილისს ჩამოვიდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის მონაწილენი

6 ივნისს თბილისს ჩამოვიდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბერლინის საგანგებო სესიის მონაწილეთა ჯგუფი, რომელიც სსრ კავშირში იმყოფება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის მოწვევით.

ჩამოსულთა შორის არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე გო-მო-ჟო, ვიეტნამის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ლე დინ ტამი, ცეილონის წარმომადგენელი დე სილვა.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. კუჭავა, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე მწერალი ი. მოსაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე მ. კვესელავა, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პასუხისმგებელი თანამშრომელნი და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საქართველოში ყოფნის პირველი დღეები მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის მონაწილეებმა მოანდომეს თბილისის ღირსშესანიშნაობათა გაცნობას. ისინი გაემგზავრნენ ქალაქ გორს, სადაც იყვნენ ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში, აგრეთვე გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობაში.

დელეგაციების წევრები დაესწრნენ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და თბილისის საზოგადოებების „მედიკისა“ და „დინამოს“ ახალგაზრდა კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების ამხანაგურ საჭვრთნელ შეხვედრას.

სტუმრებს ყველგან მრუწყეს გულთბილი, გულითადი შეხვედრა.

გუშინ წაღამოს სტუმრები იყვნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. დარბაზში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს საგანგებო სესიის მონაწილეთა გამოჩენას შეხვდნენ მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით.

კონცერტის დაწყების წინ საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის სახელით მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლთ გულთბილად მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ხორავა.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

ამხ. ო. ა. ბიბილეიშვილის სიტყვა

(ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე)

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა წყობილების პირობებში ქუთაისი უმაგალითო ტემპით განვითარდა. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, მათ შორის საავტომობილო და საშახტო მოწყობილობის მრეწველობა, 1954 წლის აპრილიდან ამუშავდა შუშის ტარის ქარხანა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა მსუბუქი და კვების მრეწველობა.

ქალაქის მრეწველობის საერთო პროდუქციის დონემ 1950 წელს 77,1 პროცენტით გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს, ხოლო 1953 წელს 49 პროცენტით გაიზარდა 1950 წელთან შედარებით. მიმდინარე წლის განმავლობაში 4 თვეში გამოშვებული პროდუქცია 4,1 პროცენტით აღემატება გასული წლის იმავე პერიოდში გამოშვებულ პროდუქციას.

ქალაქის მრეწველობის განვითარებაში ამ წარმატებებთან ერთად არსებითი ნაკლოვანებები და სიძნელეებიც არის. გასულ წელს გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს საავტომობილო ქარხანამ, ხორცკომბინატმა, საკონდიტრო ფაბრიკამ, ადგილობრივი მრეწველობის მექანიკურმა ქარხანამ და ავეჯის წარმოებამ. მიმდინარე წლის 4 თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 94,8 პროცენტით. მართალია, ქალაქის მრეწველობამ აპრილის გეგმა 112 პროცენტით შეასრულა, მაგრამ მაინც ვერ შეძლო პირველი კვარტალის დანაკლისის მთლიანად დაფარვა.

ქალაქ ქუთაისის მეურნეობისა და კულტურის ზრდას მკაფიოდ ასახავს ადგილობრივი ბიუჯეტის ციფრები. თუ ომამდელ 1940 წელს ქალაქის ბიუჯეტი 24,2 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1953 წელს იგი 58,1 მილიონ მანეთამდე გაიზარდა. ამ სახსრების დიდი ნაწილი დაიხარჯა სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე, რამაც უზრუნველყო ქალაქში სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის დიდად გაფართოება. ქუთაისში გახსნილია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, პედაგოგიური ინსტიტუტი დაუსწრებელი განყოფილებით და კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფილიალი.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ბინის დიდ სივიწროვეს განიცდის. ჩვენს მიერ მიღებულმა ზომებმა ეს ნაკლი ვერ გამოასწორა. არის ერთი გარემოებაც: 1952 წელს ინსტიტუტში მისაღებ გამოცდას აბარებდა 1.200 აბიტურიენტი, მიიღეს — 400, 1953 წელს — 1.500 აბიტურიენტი, მიიღეს — 400. ეს მოწმობს ინსტიტუტისადმი ლტოლვის განუხრელ ზრდას, მიღება კი უცვლელია. ამიტომ საჭირო ხდება ინსტიტუტთან დაუსწრებელი განყოფილებას გახსნა. ვიმედოვნებ, რომ საქართველოს მთავრობა დაგვეხმარება ამ საქმის მოგვარებაში.

სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა, საბინაო და კომუნალურ მშენებლობაზე საბჭოთა ხელისუფლების წლებში მრავალი ათეული მილიონი მანეთი დაიხარჯა. ასეთმა დაბანდებამ უზრუნველყო ფართო საბინაო და კომუნალური მშენებლობის განხორციელება, ქალაქის კეთილმოწყობის დიდ სამუშაოთა შესრულება. ამჟამად ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით ქალაქში რამდენიმე ათეული ობიექტი შენდება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საცხოვრებელი სახლება, სტადიონი 20 ათასი მაყურებლისათვის, კინოთეატრი, აბანო, საავადმყოფო, წყალსადენ-კანალიზაციისა და ელექტროქსელის გაფართოების სამუშაოები. ქალაქის ამ დიდ საბინაო და სამოქალაქო მშენებლობას ვერ აუდის ტრესტი „ქუთაისმშენი“, რომელსაც არა აქვს სათანადო საწარმოო-ტექნიკური ბაზა. ამის გამო ლითონის კონსტრუქციები, ხის დეტალები პრიმიტიულად მზადდება, რაც აჭიანურებს და აძვირებს მშენებლობას. ტრესტმა სრული მოცულობით რომ შეძლოს სამშენებლო პროგრამის შესრულება, საჭიროა საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრომ დაიჩქაროს ტრესტის საწარმოო ბაზის მშენებლობა და გაიუმჯობესოს მისი მომარაგება მასალებით, ამავე დროს დამკვეთმა ორგანიზაციებმა (კომუნალური, კულტურის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა) დროზე მიაწოდონ მას თავიანთი ობიექტების მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაცია.

ცალკე უნდა ითქვას დრამატული თეატრის მშენებლობის შესახებ. იგი წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. სხვადასხვა ორგანიზაციები უკვე ამთავრებენ თეატრის მოწყობილობის დაკვეთების შესრულებას. მშენებლება დიდი ერთსულოვნებით მუშაობენ იმისათვის, რომ მშენებლობა დადგენილ ვადაში დაამთავრონ. ვთხოვ კულტურის სამინისტროს დროულად გადასცეს მშენებლებს გადანგარიშებული და შესწორებული ხარჯთაღრიცხვა, ურომლისოდაც მუშაობა ფერხდება.

ქალაქი ქუთაისი, როგორც ჩვენი რესპუბლიკის მეორე სამრეწველო და კულტურული ცენტრი, კეთილმოწყობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის დღევანდელი ორგანიზაციითა და დონით მაინც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით საბინაო ფონდით, წყლითა და ელექტროენერგიით მომარაგების მხრივ. ვთხოვ საქართველოს მთავრობას გაითვალისწინოს 1955 წელს ქ. ქუთაისში ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დაწყება.

მრეწველობის განვითარებამ, ქალაქში ისეთ საწარმოთა აგებამ, რომელთა მნიშვნელობა ქალაქის და რესპუბლიკის ფარგლებს სცილდება, ახალი უმაღლესი სასწავლებლების გახსნამ, სოციალურ-კულტურული დაწესებულებათა ფართო ქსელის მშენებლობამ ქუთაისი ერთ-ერთ დიდ და მძლავრ ქალაქად გადააქცია. ეს გარემოება გადაუდებლად აყენებს ახალი სასტუმროს აგების საკითხს. ვთხოვ საქართველოს მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინოს 1955 წლიდან ქალაქში ერთი ახალი 150-საწოლიანი სასტუმროს მშენებლობის დაწყება.

არადამაკმაყოფილებელია ქალაქის ელექტრომეურნეობის დღევანდელი მდგომარეობაც, ელექტროქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოები ჩამორჩება ქალაქის საერთო ზრდა-განვითარებას. ამ მიზნისათვის წელს გამოყოფილი 200 ათასი მანეთი უკვე ათვისებულია.

ქალაქს არა აქვს საჭირო სიდიდის სასხდომო დარბაზი. ამიტომ ვთხოვ მინისტრთა საბჭოს გაითვალისწინოს მიმდინარე წელს სხდომათა დარბაზის პროექტის შედგენის სამუშაოთა გაგრძელება და 1955 წლის იანვრიდან მშენებლობის დაწყება.

ამხანაგო დეპუტატებო! ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი როგორც შემოსავლის, ისე გასავლის მხრივ გათვალისწინებულია 59.082 ათასი მანეთის მოცულობით, რაც ძირითადად ასახავს ქუთაისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1954 წლის გეგმას.

ვთხოვ უმაღლესი საბჭოს სესიას ბიუჯეტის დაზუსტების პროცესში გაითვალისწინოს ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტის გადიდება შემდეგი ოდენობით: მერკვილაძის და ძერჟინსკის ქუჩების გადაკვეთაზე გზაგამტარი ხიდის მშენებლობისათვის 300 ათასი მანეთი, ორი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასამთავრებლად 640 ათასი მანეთი, ქალაქის კეთილმოწყობის დაწყებულ სამუშაოთა შესრულებისათვის 1 მილიონი მანეთი და სამშენებლო მექანიზმების და ავტომანქანების შესაძენად 200 ათასი მანეთი.

ქუთაისის მშრომელები, პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით, ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეასრულებენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის 1954 წლის გეგმას, საქმით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვას მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

დეკუტატ ზ. ნ. კეცხოველის სიტყვა

(დუშეთის რაიონის გაზალეთის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს ეკონომიკაში სასურსათო საქონლის წარმოებას დიდი ხვედრითი წონა აქვს. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე რესპუბლიკის კვების მრეწველობა სწრაფად აძლიერებს სასურსათო საქონლის წარმოების ტემპს. 1953 წელს საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში დამზადებულ იქნა 36 პროცენტით მეტი პროდუქტები, ვიდრე 1950 წელს. მოგების 1953 წლის გეგმა შესრულებულია 51 მილიონი მანეთის გადამეტებით. გადაჭარბებით შესრულდა გეგმა ბრუნვის გადასახადით ბიუჯეტში შესატანი გადასახდელებისა, გეგმა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა მთლიანად და მრეწველობის ყველა დარგშიც, გარდა ჩაისა და პურსაცხობი მრეწველობისა.

წელს 1953 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად — 45,7 პროცენტით — დიდდება სასურსათო საქონლის გამოშვება. სასურსათო საქონლის წარმოების გეგმა მიმდინარე წლის პირველ ოთხ თვეში 101,7 პროცენტით შესრულდა. მრეწველობის სეზონური დარგების (ჩაისა და ღვინის მრეწველობის) საწარმოთა მუშაობის გაშლასთან ერთად სულ უფრო დაჩქარდება პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპი.

მთლიანად სამინისტრომ გეგმა შეასრულა, მაგრამ ტრესტებს „საქკონდიტერს“, „საქთამბაქოს“ და „საქპურტრესტს“, აგრეთვე ზოგიერთ საწარმოს არ შეუსრულებიათ მთელი რიგი ძირითადი სახეების პროდუქტების წარმოების გეგმა.

მიმდინარე წლის აპრილში სახალხო მოხმარების საგნების წარმოების სახელმწიფო გეგმა არ შეუსრულებია: ტრესტ „საქართველოს ჩაის“ 34 საწარმოს, „საქპურტრესტის“ — 10 და „სამტრესტის“ — 4 საწარმოს.

სასურსათო საქონლის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებასთან ერთად ხორციელდება ღონისძიებანი მათი ხარისხის გასაუმჯობესებლად და ასორტიმენტის გასაფართოებლად.

საქართველო ჩაის მწარმოებელი ძირითადი რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში.

საქართველოს ჩაის მრეწველობა 1940 წელთან შედარებით თითქმის 2,5-ჯერ გაიზარდა. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ჩაის 22 ახალი ფაბრიკა, შენდება კიდევ 8 ფაბრიკა.

ჩაის მრეწველობა სისტემატურად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. თუ 1950 წელს უმაღლესი ხარისხის ჩაი გამომუშავებული იყო 2.807 ტონა, 1954 წლისათვის გათვალისწინებულია ამ ხარისხის 6 ათასამდე ტონა ჩაის მიღება.

საბჭოთა მომხმარებელი სულ უფრო მეტი რაოდენობით მოითხოვს უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის. ამიტომ საჭირო აღმოფხვრილ იქნას ჩაის ფოთლის სახელმწიფო სტანდარტისა და ჩაის ფოთლის გადამუშავების ტექნოლოგიური წესების დარღვევა, რაც 1953 წელს ადგილი ჰქონდა ჩაის მთელ რიგ ფაბრიკებში და რაც მთელ რიგ რაიონებში დღესაც არ არის აღმოფხვრილი.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ყურძნის მოსავლიანობის გადიდება ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეღვინეობის მრეწველობის სწრაფი ზრდისათვის. „სამტრესტის“ ხაზით 1950 წელს გამოშვებულ იქნა 2.219 ათასი დეკალიტრი ღვინოები, ხოლო 1954 წელს გამოშვებულ იქნება 3 მილიონ დეკალიტრზე მეტი.

ამჟამად მთავრობაში მუშავდება ღონისძიებანი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ვენახების ფართობების შემდგომი გადიდებისა და მათი მოსავლიანობის ზრდისათვის, რაც გვავალებს დროზე მოვამზადოთ ტექნიკური ბაზა, ხოლო ამისათვის ერთიორად — ერთისამად გავადიდოთ დაბანდებანი კაპიტალურ მშენებლობაში.

ყურძნის დამზადებასა და გადამუშავებაში და ღვინოების რეალიზაციაში დიდი ნაკლოვანებები გვაქვს. უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება კონტროლსა და აღრიცხვას. უკანასკნელ ხანს ღვინის ქარხნებში და დამამზადებელ პუნქტებში გამოვლინებულ იქნა სახელმწიფო სახსრების მითვისების შემთხვევები და კანონის სხვა დარღვევა (№ 2 ღვინის ქარხანა, მაიაკოვსკის რაიონის და სხვა დამამზადებელი პუნქტები).

სამინისტრო ამჟამად სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს ღვინის მრეწველობაში მკაცრი სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად, საწარმოებისა და დამამზადებელი პუნქტების მუშაობაში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სერიოზული ნაკლოვანებებია ღვინის ვაჭრობის ორგანიზაციაში. „თბილკვებვაჭრობის“, „გასტრონომის“ და სხვა მაღაზიებში დიდი რაოდენობით გამოჩნდა სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილი ღვინოები, განსაკუთრებით შემაგრებული ღვინოები, რომლებზეც თბილისის მოსახლეობაში მოთხოვნილება არ არის, მაშინ როცა თბილისის ქარხნებში ჩაწოლილია ფართო მოხმარების ღვინოები „წინანდალი“, „გურჯაანი“, „მუკუზანი“, „კახური თეთრი“ (№ 8), „საფერავი“ და სხვ. „გლავტორგვინომ“ და მისმა საქართველოს კანტორამ კონიაკის რეალიზაციის საქმეშიც არეულ-დარეული შეიტანეს.

ამხანაგო დეპუტატებო! სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტრო მნიშვნელოვან მუშაობას იწევს პურსაცხობი და საკონდიტრო მრეწველობის განვითარების, პურ-ფუნთუშეულის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების დარგში. პურის ქარხნები შენდება ქალაქებში თბილისში, სოხუმში, ქუთაისსა და ჭიათურაში, უახლოეს დღეებში დაიწყება ასეთი ქარხნების მშენებლობა სტალინირსა და ტყიბულში. პურის ქარხნებში იდგმება დიდი წარმადობის ახალი ღუმელები. თბილისსა და ბათუმში მოეწყო ბლითების მექანიზებული წარმოება.

სამინისტრო ღონისძიებებს იღებს მაკარონის, თამბაქოს ნაწარმის, მცენარეული ზეთის, საპნის, ლუდის, მინერალური წყლების, საკონდიტრო ნაწარმისა და სხვა პროდუქტების წარმოების გასადიდებლად.

სასურსათო საქონლის წარმოების გადიდების ყველა ეს ღონისძიება მჭიდროდ დაკავშირებულია ახალი საწარმოების მშენებლობასთან და არსებული საწარმოების გაფართოებასთან, აგრეთვე მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეების უკეთ გამოყენებასთან.

1953 წელს აშენდა და ამუშავდა ჩაის ახალი ფაბრიკები, მარნები, პურის ქარხანა და პურსაცხობები, ლუდის ქარხანა და სხვ. გადიდებულ იქნა მთელი რიგი საწარმოების სიმძლავრენი. მრეწველობაში და მშენებლობაზე მომუშავე მშრომელთა სამინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 20 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, 2 საბავშვო ბაღი, 4 საბავშვო ბაგა, 1 სკოლა და 5 საავადმყოფო.

წელს სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა შარშანდელთან შედარებით 35 და მეტი პროცენტით დიდდება.

წარმოებს პურის 6 ქარხნის, ჩაის 8 ფაბრიკის, 13 მარნის, კონიაკის ქარხნისა და ღვინის ქარხნების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოების მშენებლობა. სულ სამინისტროს ხაზით მშენებლობის რეკონსტრუქციისა და ახალი ტექნიკით აღჭურვის პროცესშია 280-ზე მეტი საწარმო. მაგრამ ეს სამუშაოები ხშირად ნელა, ცუდად წარმოებს. ჯერ კიდევ დაბალია სამშენებლო ორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვილობა, ისინი საკმაოდ არ არიან უზრუნველყოფილნი ადგილობრივი საშენი მასალებით — აგურითა და კრამიტით. ამ საქმეში რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარება გვესაჭიროება.

სამინისტრო მშენებლობის ინდუსტრიულ ბაზას ქმნის. წელს დაიწყება რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის, ხისდამამუშავებელი ქარხნისა და ადგილებზე დამხმარე საბაზო მეურნეობების მშენებლობა.

დიდი მუშაობა წარმოებს საბჭოთა მეურნეობების გასაფართოებლად. წელს გაჩაღდა სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობა. მესამე კვარტალში დამთავრდება პროექტი თბილისის „ზღვის“ ახლოს 100 ჰექტარზე მეტ ფართობზე მევენახეობის ახალი საბჭოთა მეურნეობის მშენებლობისა; მუშავდება ჩოხატაურის საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის პროექტი. მზადდება მასალები მთელი რიგი ახალი საბჭოთა მეურნეობების შესაქმნელად და არსებული საბჭოთა მეურნეობების გასაფართოებლად.

მევენახეობისა და მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებში წარმოებს დიდი სამინაო. და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

ფინანსთა მინისტრმა ამხ. ჩხეიძემ, აგრეთვე ამხ. გიგოშვილმა და გამოსულმა დეპუტატებმა აღნიშნეს სამინისტროს, მისი ტრესტებისა და საწარმოების მუშაობის ნაკლოვანებანი. სამინისტრო გაითვალისწინებს ამ კრიტიკას და მიიღებს ღონისძიებებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ამხანაგო დეპუტატებო! ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, მხურვალე სიყვარულსა და მადლობას გამოთქვამს თავისი უფროსი ძმისადმი — დიდი რუსი ხალხისადმი საუკუნეების მანძილზე უანგარო დახმარებისათვის, ავანგარდული როლისათვის ოქტომბრის რევოლუციაში, ყოველივე იმისათვის, რაც ახლა საბჭოთა კავშირის ხალხებს აქვთ.

ვერავინ, ვერასოდეს, ვერავითარი ძალა ვერ შეძლებს შეაყოს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, რომელიც შედუღაბებულია შრომასა და ომში, გასხივოსნებულია გენიალური ლენინისა და მისი საქმის განმგრძობის — დიდი სტალინის ნათელი ხსოვნით. (ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორეის საკითხის შესახებ ჟენევის თათბირზე

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ვ. მ. მოლოტოვის 1954 წლის 5 ივნისის განცხადება

ბატონო თავმჯდომარე, ბატონო დელეგატებო!

კორეის საკითხის განხილვა ამ თათბირზე უკვე თვეზე მეტია გრძელდება. განხილვა ამ აქტუალური საერთაშორისო პრობლემისა, რომელიც დაკავშირებულია შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების დაცვასთან, ყველა ქვეყნის ხალხთა დიდ ყურადღებას იპყრობს. ჟენევის თათბირზე კორეის საკითხის განხილვისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ აზიის ხალხები, რომლებიც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად მოელიან, რომ ეს თათბირი მიიღებს ისეთ შეთანხმებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კორეაში, რაც შეიძლება მალე მშვიდობიან მოწესრიგებას, გამოიწვევდნენ ეროვნულ გაერთიანებას და კორეის დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას და ამით ხელს შეუწყობდნენ საერთაშორისო ვითარებაში დაძაბულობის შენელებას.

ყოველივე ეს, უეჭველია, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჟენევის თათბირის ყველა მონაწილეს კორეის პრობლემის ობიექტური და მიუკერძებელი განხილვისათვის და მისი მოწესრიგებისათვის კორეელი ხალხის სასარგებლოდ და ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების სასარგებლოდ.

ამჟამად სასარგებლო იქნებოდა შეგვჯამებინა საერთო დისკუსიის ზოგიერთი შედეგები.

აქ განვიხილეთ წინადადებები, რომლებიც შემოიტანეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ, კორეის რესპუბლიკის დელეგაციამ, აგრეთვე სხვა დელეგაციებმა. ამ წინადადებებთან დაკავშირებით აზრთა გაცვლამ საშუალება მოგვცა გამოგვეკვლინებინა სხვადასხვა დელეგაციის პოზიციები.

ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ აზრთა გაცვლის შედეგად დაასახა ერთგვარი დაახლოება დელეგაციების თვალსაზრისისა ზოგიერთი ძირითადი პრინციპების მიმართ, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს მშვიდობიანი მოწესრიგება კორეაში.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს მოსაზრებები, რომლებიც აქ ინგლისის დელეგაციის მეთაურმა გამოთქვა და რომლებიც, ეჭვი არ არის, ყურადღების ღირსია — მხედველობაში მაქვს მისი 13 მაისის წინადადება — დაწესდეს ძირითადი პრინციპები კორეის საკითხზე შეთანხმების მისაღწევად. ჩვენ ვეთანხმებით იმას, რომ კორეის შესახებ მომავალი შეთანხმების ძირითადი პრინციპების მიმართ წინასწარი გადაწყვეტილების მიღება უკეთეს შესაძლებლობებს მოგვცემს დაწყებული მუშაობის დამთავრებისათვის.

ყველა საფუძველი გვაქვს გამოვყოთ ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომლებზეც თათბირს, ჩვენი აზრით, ახლავე შეუძლია მიაღწიოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას, რამდენადაც დელეგაციების თვალსაზრისი ამ საკითხებში რამდენადმე ემთხვევა ერთმანეთს.

როგორია ეს საკითხები?

პირველი. თათბირის მონაწილეებმა საჭიროდ დაინახეს, რომ მთელი კორეის ტერიტორიაზე მოეწყოს სრულიად კორეის ეროვნული კრების არჩევნები, რაც კორეელ ხალხს შესაძლებლობას მისცემს თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება და განახორციელოს თავისი კანონიერი მისწრაფება ეროვნული გაერთიანებისადმი დემოკრატიულ საფუძველზე. ეს არჩევნები, ცხადაა, უნდა მოეწყოს სრულიად კორეის საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას, ფარული კენჭისყრასა და მოსახლეობის პროპორციულ წარმომადგენლობას სრულიად კორეის საკანონმდებლო ორგანოში.

მეორე. დისკუსიის მსვლელობაში განხილულ იქნა წინადადება იმის შესახებ, რომ საყოველთაო თავისუფალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის უნდა შეიქმნას სრულიად კორეის ორგანო. წარმოუდგენელია, რომ ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, კორეისათვის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიც არის საყოველთაო არჩევნები, ჩატარდეს ისე, რომ მთელ კორეის ტერიტორიაზე არ განახორციელონ ჯეროვანი მომზადება და არ გაითვალისწინონ ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ის თავისებურებანი, რომლებიც შეიქმნა კორეაში.

ზოგიერთმა დელეგაციამ გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს ორგანო და რა პრინციპები უნდა დაედოს საფუძვლად მის საქმიანობას. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ შემოიტანა, მაგალითად, წინადადება, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენლებისაგან შეიქმნას სრულიად კორეის კომისია არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის, აგრეთვე კორეის ორივე ნაწილს შორის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის აღდგენისა და განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შეთანხმებისათვის.

წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ის, რომ თათბირს პრინციპულად საჭიროდ მიეჩნია აღნიშნული მიზნისათვის სრულიად კორეის ორგანოს შექმნა, რამდენადაც, თუ ასეთი ორგანო არ იქნა, პრაქტიკულად შეუძლებელია სრულიად კორეის არჩევნების მოწყობა.

რაც შეეხება ასეთი ორგანოს შემადგენლობას, მის ფუნქციებსა და პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს მის საქმიანობას, ეს საკითხები შეიძლება დამატებით განვიხილოთ.

მესამე. თათბირის მონაწილენი აღიარებენ, რომ კორეის საკითხის მოწესრიგების ყოველგვარი გეგმის დროს საჭიროა გათვალისწინებულ იქნას უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალების გაყვანა კორეიდან. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი ამ საკითხზე ითვალისწინებენ კორეიდან უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანას სრულიად კორეის არჩევნების მოწყობამდე. უცხოეთის ჯარების გაყვანის საკითხმა გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე წინადადებებში, რომლებიც კორეის რესპუბლიკის დელეგაციამ შემოიტანა, თუმცა ამ წინადადებებში არის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ამერიკის ჯარების გაყვანა „შეიძლება დაიწყოს არჩევნების მოწყობამდე, მაგრამ იგი არ შეიძლება დამთავრდეს მანამდე, სანამ კორეის გაერთიანებული მთავრობა არ დააწესებს თავის კონტროლს მთელ კორეაზე“.

რამდენადაც, მიუხედავად ამ წინადადებათა განსხვავებისა, უცხოეთის ჯარების გაყვანის საჭიროებას აღიარებს თათბირის ყველა მონაწილე, შეიძლებოდა დადებით ფაქტად მიგვეჩნია ის, რომ თათბირს პრინციპულად საჭიროდ დაენახა უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალების გაყვანა კორეიდან. ის, რაც ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეიდან უცხოეთის შეიარაღებული ძალების გაყვანის კონკრეტული ვადებას დაწესებას შეეხება, ცალკე უნდა ყოფილიყო განხილული.

მეოთხე. თათბირის ყველა მონაწილე თანახმაა, რომ სრულიად კორეის არჩევნები უნდა განხორციელდეს საერთაშორისო ორგანოს მეთვალყურეობით. მაგრამ თათბირზე გამოვლინდა სხვადასხვა თვალსაზრისი ამ საერთაშორისო ორგანოს შექმნის წესის შესახებ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ შემოიტანა წინადადება, რომელშიც გათვალისწინებულია, რომ კორეაში არჩევნების მეთვალყურეობა განახორციელოს ნეიტრალური ქვეყნების კომისიამ, რომელიც უნდა შეიქმნას ისეთივე შემადგენლობით, როგორც კორეაში დაზავების სამეთვალყურეო ნეიტრალური ქვეყნების კომისია. სსრ კავშირის დელეგაციისა მხარს უჭერს ამ წინადადებას და მიაჩნია, რომ იგი შეესაბამება მიზნებს, რომლებსაც ამ ორგანოს ვუსახავთ. თათბირის ზოგიერთმა მონაწილემ მოითხოვა, რომ არჩევნების მეთვალყურეობა დაევალოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიას.

ჩვენი აზრით, თათბირს შეუძლია პრინციპულად გადაჭრას არჩევნების მოწყობის სამეთვალყურეო საერთაშორისო კომისიის შექმნის საკითხი. რაც შეეხება ამ კომისიის შემადგენლობას და მის კომპეტენციას, ამ საკითხებზე შეიძლება დამატებით მოეწყოს აზრთა გაცვლა და შევეცადოთ შეთანხმების მიღწევას.

მეხუთე. თათბირის მონაწილენი აღნიშნავდნენ ისეთი პირობების შექმნის დიდ მნიშვნელობას, რომლებიც შეუძლებელს გახდიდნენ კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმების დარღვევას და უზრუნველყოფდნენ კორეის მშვიდობიან განვითარებას. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრებანი, რომ კორეის მშვიდობიანი განვითარება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას, თუ სახელმწიფოები, რომლებიც ყველაზე დაინტერესებული არიან შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებით, იკისრებენ შესაბამის ვალდებულებებს. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა კორეის ეროვნული გაერთიანების ამოცანის განხორციელებას. ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა გათვალისწინებულია, კერძოდ, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებებით.

გასაგებია, რომ თათბირმა არ უნდა აუაროს გვერდი ამ სერიოზულ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია კორეაში მშვიდობის შენარჩუნებასთან. თათბირს შეუძლია უკვე ახლა მიიღოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საჭიროა ყველაზე დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა იკისრონ შესაბამისი ვალდებულებანი კორეის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფის შესახებ. საკითხი, თუ სახელდობრ რომელმა სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ აღნიშნული ვალდებულებანი, აგრეთვე საკითხი ასეთ ვალდებულებათა ხასიათის შესახებ დამატებით უნდა იქნას განხილული.

ასეთია, ჩვენი აზრით, ის საკითხები, რომლებიც პირველ რიგში უნდა განვიხილოთ. ჩვენ გულმოდგინედ უნდა განვიხილოთ და ვცადოთ გამოვნახოთ ამ პრინციპების განხორციელების პრაქტიკული გზები და საშუალებანი, რომელთა შესახებ თათბირის მონაწილეთა პოზიციები არსებითად განსხვავდება. ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებთ შევამციროთ ამ განსხვავების მნიშვნელობა. საკმარისია ითქვას, რომ ეს განსხვავება ეხება ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის იმის საჭიროება, რომ უკვე უახლოეს ხანში შეიქმნას მთელი კორეელი ხალხისათვის ავტორიტეტიანი სრულიად კორეის ორგანო, გაყვანილ იქნან კორეიდან უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალები, შესაბამისმა სახელმწიფოებმა უზრუნველყონ კორეის შემდგომი მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფა.

საბჭოთა დელეგაციის აზრით, თათბირის მონაწილეებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა ერთმანეთს დაუახლოონ თავიანთი თვალსაზრისი და მიაღწიონ ურთიერთმისაღებ შეთანხმებებს ამ პრინციპების შესახებ. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ ახლა უნდა შევუდგეთ კორეაში მშვიდობიანი მოწესრიგების ზემოაღნიშნულ საკითხთა კონკრეტულ განხილვას. ამასთანავე მიზანშეწონილი იქნება შესაბამისი გადაწყვეტილების გზით განვამტკიცოთ ის ძირითადი დებულებანი, რომელთა შესახებაც შეგვიძლია დისკუსიის მსვლელობაში შევთანხმდეთ.

ამ შენიშვნების შესაბამისად საბჭოთა დელეგაციას თავის მხრივ შესაძლებლად მიაჩნია თათბირის განსახილველად წარმოადგინოს გადაწყვეტილების შემდეგი პროექტი:

„ჟენევის თათბირის მონაწილენი შეთანხმდნენ შემდეგ ძირითად პრინციპებზე, რომლებიც კორეის საკითხის მშვიდობიან მოწესრიგებას შეეხება:

1. კორეის გაერთიანებისა და კორეის ერთიანი დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მიზნით მთელი კორეის ტერიტორიაზე მოეწყოს თავისუფალი არჩევნები.

არჩევნები უნდა მოეწყოს ამ შეთანხმების მიღწევის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში.

არჩევნები უნდა მოეწყოს ფარული კენჭისყრის საფუძველზე საყოველთაო საარჩევნო უფლების გამოყენებით.

სრულიად კორეის საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობა მთელი კორეის მოსახლეობის პროპორციული უნდა იყოს.

2. სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და კორეის რესპუბლიკას შორის დაახლოების ხელის შეწყობისათვის შეიქმნას სრულიად კორეის ორგანო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის რესპუბლიკის წარმომადგენელთაგან.

ამ ორგანოს შემადგენლობისა და ამოცანების საკითხი განხილულ უნდა იქნას დამატებით.

3. გაყვანილ იქნან კორეიდან უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალები განსაზღვრულ ვადებში.

სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების დაწყებამდე ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეიდან უცხოეთის მთელი შეიარაღებული ძალების გაყვანის ვადებისა და ეტაპების საკითხი განხილულ იქნას დამატებით.

4. დაწესდეს, რომ სრულიად კორეის თავისუფალი არჩევნების მოწყობისადმი მეთვალყურეობისათვის იქმნება შესაბამისი საერთაშორისო კომისია.

ასეთი საერთვალყურეო კომისიის შემადგენლობის საკითხი განხილულ იქნას დამატებით.

5. რადგან კორეაში მშვიდობის დარღვევის დაუშვებლობას დიდი მნიშვნელობა აქვს, მიჩნეულ იქნას საჭიროდ, რომ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის შენარჩუნებით ყველაზე მეტად დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა იკისრონ ვალდებულება უზრუნველყონ კორეის მშვიდობიანი განვითარება, რაც ხელს შეუწყობს კორეის ეროვნული გაერთიანების ამოცანის გადაწყვეტას.

საკითხი, თუ რომელმა სახელმწიფოებმა უნდა იკისრონ ვალდებულებანი კორეის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველსაყოფად და რა ხასიათის უნდა იყოს ეს ვალდებულებანი განხილულ უნდა იქნას დამატებით“.

საბჭოთა დელეგაციის ეს წინადადება გამოყოფს იმ საკითხებს, რომელთა შესახებაც შესაძლებელია შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მიღება. მაგრამ ამ წინადადებათა ტექსტიდან ჩანს, რომ ამ ზოგად დებულებათა მიღების შემდეგაც კი გადაუწყვეტელი რჩება ისეთი საკითხები, რომელთა შესახებ შეთანხმების მიუღწევლად არ შეიძლება განხორციელდეს კორეის ეროვნული გაერთიანება. ასეთი მდგომარეობის სირთულე ჯეროვნად უნდა შეფასდეს.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლაზე, რომელიც მოხდა 28 მაისის სხდომაზე. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის საბაბით სცადა გაემართლებინა ამერიკის აგრესია კორეაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ის უკანონო მოქმედება, რომელსაც საფუძვლად ედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პირდაპირი და არაერთგზის დარღვევა. იგი ცდილობდა ამერიკის აგრესია კორეაში დაესახა როგორც კოლექტიური უშიშროების პრინციპის განხორციელება, რას მტკიცებაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ფაქტების გაუყალბებლად.

ამერიკის დელეგატმა ისიც კი თქვა, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი უარყოფდეს კოლექტიური უშიშროების პრინციპს. მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი არის კოლექტიური უშიშროების პრინციპის ყველაზე აქტიური დამცველი, საბჭოთა კავშირი იცავდა და იცავს აღნიშნული პრინციპის პრაქტიკულად გამოყენებას. საჭირო არ არის ვილაპარაკოთ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში აგრესიისადმი კოლექტიური წინააღმდეგობის გაწევისათვის საბჭოთა კავშირის ბრძოლის კარგად ცნობილ ფაქტებზე. ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც საბჭოთა კავშირს არ შეუწყვეტია თავისი ბრძოლა ერთმანეთისათვის დაპირისპირებულ სამხედრო ბლოკებად და დაჯგუფებებად მსოფლიოს დანაწილების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ.

საყოველთაოდ ცნობილია ნაბიჯები, რომლებიც საბჭოთა კავშირმა ამას წინათ გადადგა კოლექტიური უშიშროების უზრუნველსაყოფად. საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინა წინადადება დაიდოს სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპაში კოლექტიური უშიშროების შესახებ, აგრეთვე აზრი გამოთქვა, რომ სსრ კავშირმა მონაწილეობა მიიღოს ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებაში, გაითვალისწინა რა, რომ ამ ხელშეკრულებაში ისეთი მშვიდობისმოყვარე ქვეყნების მონაწილეობა, როგორიც არის საბჭოთა კავშირი, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციას — ქვეყნების ერთი ჯგუფის აგრესიულ ორგანიზაციას, როგორიც მიმართულია ქვეყნების მეორე ჯგუფის წინააღმდეგ, კოლექტიური უშიშროების ორგანოდ გადააქცევდა. ჟენევის თათბირზე საბჭოთა კავშირმა, გარდა ამისა, განაცხადა, რომ მხარს უჭერს მისწრაფებას — კოლექტიური უშიშროება უზრუნველყოფილი იქნას აზიის ყველა ხალხისათვის, რაც გამოთქმული იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის განცხადებაში.

ცნობილია, რომ ყველა ამ ნაბიჯს, რომელთა მიზანია უზრუნველყოფა ხალხთა ნამდვილი კოლექტიური უშიშროებისა, განურჩევლად იმისა, თუ რა საზოგადოებრივი წყობილება აქვთ მათს ხახელმწიფოებს, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წრეები. ასეთია ნამდვილი ფაქტები.

რაც შეეხება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, საბჭოთა კავშირი, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი, ყოველთვის დაუცხრომლად იბრძოდა ამისათვის, რომ ეს ორგანო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ნამდვილი ორგანო იყოს, როგორც ამას მოითხოვს მისი წესდება, ძირითადი პრინციპები და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის მიზნები. საბჭოთა კავშირი სწორედ ამიტომ იბრძვის ყოველი იმ ცდის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადააქცინონ ამერიკის შეერთებული შტატების ან სხვა ქვეყნების გარკვეული წრეების აგრესიული პოლიტიკის იარაღად — იმ ცდების წინააღმდეგ, რომლებიც, კერძოდ, გამოიხატა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ უკანონო გადაწყვეტილებათა მიღებით, რომლებმაც სანქცია მისცეს ამერიკის აგრესიას კორეაში.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები ცდილობენ თავიანთი თავი დასახონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამცველებად მაშინაც კი, როცა ისინი უხეშ ზეგავლენას ახდენენ ამ საერთაშორისო ორგანიზაციაზე, როცა მათი ზემოქმედებით ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითად დებულებათა სკანდალური დარღვევა, მაგალითად, კორეის საკითხში ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებათა საკითხში. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებისა და თვით მისი წესდების დარღვევით ვერ დავიცავთ და ვერ განვამტკიცებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო ავტორიტეტს. ეს დარღვევანი, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ხდება, საფუძველს უთხრიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. საბჭოთა კავშირი, რომელიც აბრძვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ძირითადი პრინციპების დარღვევის წინააღმდეგ, იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ღირსებასა და ავტორიტეტს.

აქ სცადეს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები გამოეყენებინათ სამართლიანობისა და მშვიდობის დამცველებად, კაცობრიობის უფლებათა და მორალის პრინციპების დამცველებად. მაგრამ დიდი ხანია ცნობილია, რომ სიტყვას მაშინ აქვს ფასი, მაშინ აქვს მნიშვნელობა, როცა იგი საქმეს შეესაბამება, ფაქტებს შეესაბამება. ამ შემთხვევაში კი სრულიად სხვა მდგომარეობა გვაქვს. საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ ახლა, როცა ჯერ კიდევ განვიხილავთ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზებს, გაჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების ახალი აგრესიის საფრთხე — ამჯერად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა თავისი სიტყვა დაამთავრა სამხრეთ კორეის დელეგატის წინადადებათა უთუო მხარდაჭერით. მაგრამ საკმაოდ აშკარაა, რომ ეს წინადადებანი არ შეესაბამებიან კორეის რეალურ ვითარებას და ვერ დაედებიან საფუძვლად ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებებს.

თავის მხრივ საბჭოთა დელეგაცია ცდილობდა თქვენთვის წარმოდგენილ გადაწყვეტილების პროექტში შეეტანა მხოლოდ ისეთი დებულებანი, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ჟენევის თათბირის გადაწყვეტილებებს კორეის საკითხზე, თუ იქნება მისწრაფება შეთანხმებისადმი. ამასთან პროექტი მოითხოვს, რომ სადავო საკითხებზე გაგრძელდეს აზრთა გაცვლა.

საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება შეამსუბუქებდა თათბირის შემდგომ მუშაობას და ხელს შეუწყობდა ისეთი შეთანხმების მიღწევას, რომელიც შეესაბამება კორეელი ხალხის ინტერესებს და ამასთანავე საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს.

„პრავდა“, 1954 წლის 6 ივნისი.

საგარეო საქმეთა მინისტრების ჟენევის თათბირი

ჟენევა, 5 ივნისი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს ცხრამეტი ქვეყნის დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობენ ჟენევის თათბირის დღის წესრიგის პირველი პუნქტის — კორეის საკითხის განხილვაში, შეიკრიბნენ მორიგ პლენარულ სხდომაზე. თავმჯდომარეობდა ვან ვაითხაიაკონი (ტაილანდი).

მოვაგონებთ მკითხველს, რომ ჯერ კიდევ ჟენევის თათბირის დაწყებისას, 27 აპრილს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ შეიტანა მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია კორეის საკითხი გადაწყდეს დემოკრატიულ საწყისებზე კორეის მშვიდობიანი გაერთიანების გზით. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებანი ითვალისწინებენ, რომ სრულიად კორეის არჩევნები ჩატარდეს ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის შეთანხმების გზით, რისთვისაც უნდა შეიქმნას სრულიად კორეის კომისია კორეის ორივე ნაწილის წარმომადგენელთაგან. ეს წინადადებანი აგრეთვე თვალისწინებენ, რომ კორეიდან გაყვანილ იქნას უცხოეთის მთელი ჯარები, სანამ მოეწყობოდეს სრულიად კორეის არჩევნები და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის უზრუნველყოფთან განსაკუთრებით დაინტერესებული სახელმწიფოები იკისრებდნენ კორეის შემდგომი მშვიდობიანი განვითარების უზრუნველყოფას.

როგორც ცნობილია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებებს მხარი დაუჭირეს სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციებმა. ამასთან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ შეიტანა დამატებითი წინადადება, რომ მთელ კორეაში თავისუფალი არჩევნებისათვის მეთვალყურეობის გასაწევად შეიქმნას კომისია იმ ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან, რომელსაც არ მიუღიათ მონაწილეობა კორეის ომში.

თათბირზე დისკუსიის მსვლელობაში ამერიკის შეერთებული შტატების და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციები ამ წინადადებათა წინააღმდეგ წავიდნენ. დისკუსიამ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა სურთ მშვიდობიანი გზით გადაწყვიტონ კორეის პრობლემა, ისწრაფვიან შეინარჩუნონ ბატონობა სამხრეთ კორეაში და მთელ კორეაზე გაავრცელონ ეს ბატონობა.

22 მაისს სამხრეთ კორეის დელეგაციამ შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების კარნახით დაწერილი თავისი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს არჩევნების მოწყობას უცხოელთა ჯარების მიერ სამხრეთ კორეის ოკუპაციის პირობებში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლით. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კორეის წინადადებანი აშკარად მიუღებელია, დღევანდელ სხდომაზე პირველად გამოსულმა ეთიოპიის წარმომადგენელმა გაბრე ჰეივოტმა სცადა ეს წინადადებანი წარმოედგინა შეთანხმებისათვის შესაფერის საფუძვლად. მან აზრი გამოთქვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წინადადებათა წინააღმდეგ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ნამ ირმა გულმოდგინე ანალიზი გაუკეთა სამხრეთ კორეის დელეგაციის პროექტს. მან ცხადყო, რომ ამ პროექტს საფუძვლად ის უდევს, რომ არა სურთ ფიზიზლად გაითვალისწინონ კორეის ორივე ნაწილში რეალურად არსებული მდგომარეობა, და ეს პროექტი მოწმობს, რომ სამხრეთ კორეის ხელისუფალნი არ არიან დაინტერესებულნი კორეის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხის საქმიანი განხილვით.

შემდეგ გამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური ჯოუ ენ-ლაი. მან აღნიშნა, რომ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც შეიტანა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციამ, კორეელ ხალხს აძლევენ იმის დიდ შესაძლებლობას, რომ აღიდგინოს ეროვნული ერთიანობა ნამდვილად თავისუფალი არჩევნების მოწყობით.

ფილიპინების წარმომადგენელმა გარსიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, თავის სიტყვაში გაიმეორა ამერიკელთა არგუმენტაცია სამხრეთ კორეის დელეგაციის წინადადებათა დასაცავად. მას შემდეგ, რაც ფილიპინების წარმომადგენელმა დაამთავრა თავისი გამოსვლა, სიტყვა აიღო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. მ. მოლოტოვმა. თავის განცხადებაში, რომელიც თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს, მან შეაჯამა კორეის საკითხზე გართული საერთო დისკუსიის ზოგიერთი შედეგი. მან აღნიშნა, რომ არის ყველა საფუძველი გამოიყოს ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, რომლების შესახებ თათბირს შეუძლია ახლავე მიაღწიოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას, რამდენადაც დელეგაციათა თვალსაზრისი ამ საკითხების შესახებ რამდენადმე ემთხვევა ერთმანეთს. ამავე დროს, როგორც ვ. მ. მოლოტოვმა აღნიშნა, თათბირმა გულმოდგინედ უნდა განიხილოს და შეეცადოს გამონახოს აგრეთვე იმ პრინციპების განხორციელების პრაქტიკული გზები და საშუალებანი, რომელთა შესახებ თათბირის მონაწილეთა პოზიციები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. საბჭოთა დელეგაციამ თათბირის განსახილველად წარადგინა გადაწყვეტილების პროექტი, სადაც გამოყოფილია ის საკითხები, რომელთა შესახებ შესაძლებელია მიღებულ იქნას შეთანხმებული გადაწყვეტილება, და აღნიშნულია საკითხები, რომლებიც დამატებით უნდა განიხილონ.

(ვ. მ. მოლოტოვის განცხადება გაზეთის ამ ნომერში იბეჭდება).

შემდეგ სიტყვა აიღო ჰოლანდიის წარმომადგენელმა. მან განაცხადა, რომ ჰოლანდიის დელეგაცია არ უარყოფს, რომ არსებობს ნიადაგი შეთანხმებისათვის, მაგრამ მან უსაფუძვლოდ უარყო, რომ შესაძლებელია კორეის ორივე ნაწილის წარმომადგენლებმა ითანამშრომლონ სრულიად კორეის კომისიაში და მხარი დაუჭირა სამხრეთ კორეის დელეგაციის წინადადებას, რომლის მიზანია თავს მოახვიონ კორეელ ხალხს არჩევნები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით. დასასრულ მან განაცხადა, რომ ჰოლანდიის დელეგაციამ დიდი ინტერესით მოისმინა სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებანი და სათანადო ყურადღებით შეისწავლის მათ.

ბოლოს ილაპარაკეს სამხრეთ კორეის და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებმა. მათ ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ მათ ხელს არ აძლევთ კორეის საკითხზე შეთანხმების მიღწევა. ისინი განსაკუთრებული თავგამოდებით წავიდნენ სრულიად კორეის კომისიის შექმნის წინადადების წინააღმდეგ, რითაც ცხადყვეს, რომ ცეცხლზე უფრო ეშინიათ იმისა, რომ თვითონ კორეელ ხალხს მიეცეს უფლება გადაწყვიტოს თავისი ბედი. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი სმიტი წავიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ კორეაში თავისუფალი არჩევნების მოწყობისადმი მეთვალყურეობისათვის შეიქმნას კომისია ნეიტრალური ქვეყნების წარმომადგენელთაგან.

ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა, რომ არ ეთანხმება სმიტის მტკიცებას, და დაიტოვა უფლება უფრო გვიან გასცეს პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლაზე.

ამით დამთავრდა სხდომა.

(„პრავდა“, 1954 წ. 6 ივნისი).

„ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ნაბიჯი ჟენევის თათბირის ჩასაშლელად“

(გაზეთ „ჟენმინჟიბაოს“ სტატია)

პეკინი, 5 ივნისი. (საკუთარი). დღეს გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ მოათავსა უ ციუანის სტატია „ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ნაბიჯი ჟენევის თათბირის ჩასაშლელად“, რომელშიც ავტორი აღნიშნავს:

„იმ დროს, როცა ჟენევის თათბირზე მიღწეულ იქნა პირველი შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს საომარი მოქმედების რაც შეიძლება მალე და ერთსა და იმავე დროს მეწყვეტას ინდოჩინეთის მთელ ტერიტორიაზე, ატლანტიკის ოკეანის გაღმა ნაპირიდან მოხდა ახალი გამოხდომა, რომლის მიზანია ჩაშალოს ჟენევის თათბირი. დალესის პირდაპირი მითითებით ტაილანდის დელეგატმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კომანდა 29 მაისს შეიტანა წინადადება განხილულ იქნას უშიშროების საბჭოში საკითხი ინდ

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ კომუნისტმა დეპუტატმა რაიმონ გიუიომ ეროვნული კრების ბიუროში შეიტანა მთავრობისადმი შეკითხვა „იმ მოტივების შესახებ, რომლებმაც აიძულა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მენდესი სამინისტრო, რომელიც განაგებს მომზრობილ სახელმწიფოებთან ურთიერთობას, ფრედერიკ-დიუპონისათვის, რომელიც ინდოჩინეთის საკითხის ყოველგვარი მშვიდობიანი გადაჭრის ცნობილი მოწინააღმდეგეა.

ეს გადაწყვეტილება ასახავს ჩვენი მთავრობის მისწრაფებას განაგრძოს და გააძწაოს ომი ინდოჩინეთში იმ მომენტში, როცა ფრანგი ხალხი ჟენევის თათბირისაგან მოელის შეთანხმების დადებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“.

გაზეთი „ლიბერასიონი“ წერს, რომ „სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირის“ ჯგუფის ბიუროში შემოვიდა დეპუტატების საჩივარი, რომლებიც პროტესტს აცხადებენ მომზრობილი სახელმწიფოების საქმეთა მინისტრად ფრედერიკ-დიუპონის დანიშვნის წინააღმდეგ.

საფრანგეთის მთავრობისა და ბაო-დაის შეთანხმების გამო

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). გაზეთების ცნობით, გუშინ საფრანგეთის მთავრობის მეთაურმა ლანიელმა და ბაოდაელთა მთავრობის მეთაურმა ბუუ ლომმ ხელი მოაწერეს ეგრეთწოდებულ ხელშეკრულებებს „დამოუკიდებლობაზე და თანამშრომლობაზე“ საფრანგეთსა და ბაო-დაის რეჟიმს შორის.

ამის გამო გაზეთი „ლიბერასიონი“ წერს: „ცნობილია, რომ რატიფიკაციის შემდეგ ეს ხელშეკრულებანი „მომზრობილ სახელმწიფოებს“ მიეცემენ სრულ დიპლომატიურ დამოუკიდებლობას, მათ შორის უფლებას ხელი მოაწერონ სამხედრო შეთანხმებებს სხვა სახელმწიფოებთან ან უარი თქვან ყოველგვარ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე, რომელიც დადო საფრანგეთმა ხო შიმინის მთავრობასთან.

რამდენიმე თვის განმავლობაში ამ ხელშეკრულებათა დადებას გადაჭრით მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან ეს ხელშეკრულებანი გადაიქცეოდნენ ძირითად დაბრკოლებად ინდოჩინეთში მშვიდობის დამყარებისა და ინდოჩინეთის კონფლიქტის ყოველგვარი პოლიტიკური გადაწყვეტისათვის.

საფრანგეთის კომპარტიის პროტესტი

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადეს, რომ ყრილობის დელეგაცია, რომელსაც პოლიტბიუროს წევრი ფრანსუა ბიიუ მეთაურობს, იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში და გადასცა საპროტესტო რეზოლუცია ყრილობაზე მოწვეული სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოძმე პარტიების სტუმრებისათვის საფრანგეთში შესასვლელი ვიზების მიცემაზე უარისთქმის წინააღმდეგ. დელეგაციამ მიიღო დაპირება, რომ საჭირო ვიზები გაიცემა. ამასთან ერთად მთავრობამ საფრანგეთში შესვლის ნება დართო ყრილობაზე მოწვეულ იტალიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს.

იდენი ჟენევიდან ლონდონს ჩავიდა

ლონდონი, 5 ივნისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა 5 ივნისს დილით დანიშნა კაბინეტის სხდომა, რათა მოსმენილ იქნას საგარეო საქმეთა მინისტრის იდენის მოხსენება ჟენევის თათბირის მიმდინარეობის შესახებ.

4 ივნისს საღამოს იდენი ჟენევიდან გამოფრინდა და იმავე დღეს ჩამოვიდა ლონდონში, იგი კვირის ბოლოს ინგლისში გაატარებს. როგორც ფიქრობენ, იდენი ჟენევაში დაბრუნდება 8 ივნისს.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყ რ ი ლ ო ბ ა

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის საღამოს სხდომაზე მოხსენება დღის წესრიგის მეორე პუნქტზე — პარტიის ორგანიზაციული მუშაობის პრობლემები — გააკეთა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მარსელ სერვენმა. მის მოხსენებაში ძირითადი ყურადღება მიქცეული აქვს კომუნისტური პარტიის უჯრედების როლს საწარმოებში და იმ დამახინჯებათა ანალიზს, რომლებიც დაუშვა ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა მდივანმა ორგანიზაციულ საკითხებში ლეკერმა.

პარიზი, 6 ივნისი. (საკდესი). გუშინ გრძელდებოდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობის მუშაობა. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან პარტიის სხვადასხვა დეპარტამენტის ფედერაციების დელეგატები, რომლებიც გამოთქვამენ ფრანგი ხალხის ურყევ მისწრაფებას — დაიცვას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება აღორძინების გზაზე დამდგარი გერმანული მილიტარიზმის ხელყოფისაგან, გაამნგტონის სტრატეგიული გეგმებისადმი საფრანგეთის დამორჩილებისაგან. ყრილობის მთელ მუშაობას წითელ ზოლად გასდევს იდეა, რომ საჭიროა საფრანგეთის მუშათა კლასი გაერთიანდეს და მის გარშემო მჭიდროდ დაირაზმონ საფრანგეთის მთელი ჭეშმარიტად პატრიოტული და ეროვნული ძალები, რომლებიც საფრანგეთის მთავრობის ახალნდელი პოლიტიკური კურსის შეცვლას ესწრაფვიან.

თითქმის არ არის ორატორი, რომელიც არ ლაპარაკობდეს კომუნისტებისა და მშრომელი სოციალისტების დაახლოების გზებზე, იმაზე, რომ საფრანგეთის მუშათა კლასის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა განთავისუფლდეს მემარჯვენე სოციალისტი ლიდერების იდეოლოგიური ზეგავლენისაგან. დელეგატებს მოჰყავთ დამაჯერებელი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ ძლიერდება კომუნისტური პარტიის იდეური გავლენა ხალხის ფართო მასებზე, მტკიცდება პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები.

ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა ვალდეკ როშეს გამოსვლა საფრანგეთის გლეხობის მდგომარეობისა და სოფლად კომპარტიის ამოცანების შესახებ. საფრანგეთის სოფლის მეურნეობა, თქვა მან, მძიმე პერიოდს განიცდის. მარშალის გეგმის შედეგია ის, რომ ფრანგი გლეხება კარგავენ თავიანთი პროდუქციის გასაღების ბაზარს საფრანგეთში და მის ფარგლებს გარეთ. ისინი სულ უფრო ვრძნობენ ამერიკის კონკურენციის გაძლიერების შედეგებს. მკვეთრად ეცემა გლეხობის მყიდველობითი უნარი. ამავე დროს იზრდება უცხოეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი. თუ 1950 წელს იგი ღირებულებითი გამოხატულებით შეადგენდა 125 მილიარდ ფრანკს, 1953 წელს გაიზიდა 560 მილიარდ ფრანკამდე. ამასთან მცირდება საფრანგეთის სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი. 1951 წლის 140 მილიარდი ფრანკიდან იგი 1953 წელს დაეცა 83 მილიარდამდე.

ვალდეკ როშემ ჩამოაყალიბა სოფლის მეურნეობის გაჯანსაღების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს წარმოების მოდერნიზაციას, წვრილი მწარმოებლებისათვის მატერიალური დახმარების გაწევას, უზომო დაბეგვრის პოლიტიკის გაუქმებას, სსრ კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოებას.

გლეხებს ესმით, თქვა მან, რომ მათი მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ პოლიტიკის საერთო შეცვლის გზით, მუშათა კლასთან ერთად ბრძოლის გზით. ისინი ილაშქრებენ პარიზის ხელშეკრულებისა და ინდოჩინეთის ომის წინააღმდეგ.

ყრილობის გუშინდელ საღამოს სხდომაზე მოხსენება დღის წესრიგის მესამე პუნქტის შესახებ — კომუნისტური პარტია და ახალგაზრდობა — გააკეთა ფრანსუა ბიიუმ.

მარჯინ ანდერსენ ნექსეს დაკრძალვა

კოპენჰაგენი, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს დანიელმა ხალხმა უკანასკნელი პატივი სცა მარტინ ანდერსენ ნექსეს — დიდ მწერალსა და დანიის მუშათა კლასის ერთგულ შვილს. ათეულათასობით ადამიანი მოვიდა, რათა გამოსთხოვებოდა მწერალს, რომელიც თავის ნაწარმოებებში უმღერიდა მუშათა კლასის ცხოვრებასა და ბრძოლას ღირსეული არსებობის უფლებისათვის.

კოპენჰაგენის ფორუმის შენობაში მარტინ ანდერსენ ნექსეს კუბო შეამკეს ადგილობრივი პროფკავშირული და კომუნისტური ორგანიზაციების, ახალგაზრდობის კავშირთა და დაწესებულებათა, საბჭოთა მისიის, საბჭოთა მწერლების კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მისიის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, მექსიკის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, შვეიცის, ნორვეგიის, ფინეთის კომპარტიების, გაზეთების რედაქციების, მწერალთა გაერთიანებების გვირგვინებით.

15 საათზე იწყება სამგლოვიარო მიტინგი. კოპენჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორი ეინარ ტომსენი ლაპარაკობს ნექსეს მნიშვნელობაზე თანამედროვე დანიური ლიტერატურის განვითარებისათვის. მოკლე სიტყვები წარმოთქვეს: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა პაულ ანდელმა, იუტლანდიის მიწამცირე გლეხთა გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილემ ემანუელ ვესბომ და საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენელმა ბორის პოლევოიმ.

ტრიბუნაზე ადის დანიის კომპარტიის თავმჯდომარე აქსელ ლარსენი. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, რომლის წევრიც თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო ნექსე, აქსელ ლარსენი ეთხოვება დიდ მწერალს:

„ჩვენ უკანასკნელად ვეთხოვებით დანიელი ხალხის დიდ, შეიძლება ყველაზე დიდ შვილს, — თქვა მან. — ნექსე არა მარტო გვიხატავდა თავის ნაწარმოებებში დანიის მშრომელი ხალხის ცხოვრებას, არამედ თავისი ნიჭის ძალით ასწავლიდა მას, როგორ უნდა იბრძოლოს თავისი უფლებებისათვის, სოციალიზმის იდეებისათვის.

ჩვენ უკანასკნელად ვეთხოვებით დანიის მუშათა მოძრაობის უხუცეს წევრს, მწერალს, რომელიც არა მარტო წერდა, რომელიც თვითონ იყო მებრძოლი, დანიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი შემქმნელი და მრავალი წლის განმავლობაში — მისი ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ჩვენ უკანასკნელად ვეთხოვებით ჩვენს საუკეთესო ამხანაგს, თანამებრძოლსა და პირად მეგობარს — მარტინ ანდერსენ ნექსეს. ნექსე გარდაიცვალა. მაგრამ მისი ცხოვრების საქმე იცოცხლებს ხალხის სულში და გვიჩვენებს დანიის მშრომელთა და მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლის გზას“.

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრდა „ინტერნაციონალის“ შესრულებით.

16 საათი და 15 წუთია. კუბო ნექსეს ცხედრით გამოასვენეს ფორუმიდან და სამგლოვიარო პროცესია გაეშართა ბისპეიერგის სასაფლაოსაკენ, სადაც მოხდა დაკრძალვა.

ინგლისის კაბინეტის სხდომა

ლონდონი, 5 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დღეს ინგლისის მთავრობამ მოისმინა იდენის ანგარიში ინდოჩინეთისა და კორეის საკითხებზე ჟენევის მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ.

სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი ბერლინში

ბერლინი, 6 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბერლინის სახელმწიფო-ოპერის შენობაში დიდი წარმატება ჰქონდა სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის (იგორ მოისეევის ხელმძღვანელობით) პირველ კონცერტს. ანსამბლი ბერლინში ჩამოვიდა სრულიად გერმანიის ახალგაზრდობის II შეკრების გამო.

თეატრში მყოფ შეკრების მონაწილეთა აღტაცება გამოიწვია სსრ კავშირის, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა ეროვნულმა ცეკვებმა, რომლებიც ანსამბლის მსახიობებმა შეასრულეს.

ანსამბლის პირველ კონცერტს დაესწრნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიკმანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიული პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსი.

ევროპის პირველობა ქალთა გუნდებს შორის

ბელგრადი, 6 ივნისი. (საკდესი). 5 ივნისს ქალთბურთში ევროპის პირველობის ჩემპიონატის მეორე დღეს უნგრეთის ქალთა გუნდმა, რომელმაც გუშინ წაგო იტალიის გუნდთან, მოუგო ავსტრიის ქალთბურთელებს ანგარიშით 69 : 34. ბულგარეთის გუნდი შეხვდა დანიის გუნდს. თამაშის შედეგია 68 : 20 ბულგარეთის სპორტსმენთა სასარგებლოდ.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია ქალთბურთში ევროპის ორგზის ჩემპიონის სსრ კავშირის ქალთა გუნდის შეხვედრამ იუგოსლავიის გუნდთან. მწვავე ბრძოლის შედეგად საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს ანგარიშით 48:43.

გულგარეთის ფეხბურთელებმა მოუგეს შვეიცარიის გუნდს

სოფია, 6 ივნისი. (საკდესი). გუშინ სოფიაში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში სოფიის საზოგადოება „დამკერელის“ გუნდსა, რომელსაც ახლა მესამე ადგილი უკავია ფეხბურთში ბულგარეთის პირველობის გათამაშებაში, და შვეიცარიის გუნდ „ლიზან-სპორტს“ შორის, რომელსაც აგრეთვე მესამე ადგილი უკავია შვეიცარიის ჩემპიონატში. თამაში დამთავრდა ბულგარეთის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 4 : 2.

მოძრაობა იაპონიაში სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისათვის საბჭოთა კავშირთან

პეკინი, 5 ივნისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

ტოკიოდან მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ იაპონიის პარლამენტის დეპუტატთა ჯგუფმა ნაოსნობა შექმნა იაპონია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის ხელშეშყობი საზოგადოება. ეს მეორე ორგანიზაციაა, რომელიც შექმნეს პარლამენტის დეპუტატებმა და რომლებიც მტკიცედ მოითხოვენ ვაჭრობის მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ქვეყნებთან. ეს ნაბიჯი გამოხატავს მზარდ წინააღმდეგობას „ემბარგოს“ პოლიტიკისადმი, რომელიც ხელს უშლის იაპონიის ეკონომიკის განვითარებას.

იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის ხელშეშყობი ანალოგიური საზოგადოება შეიქმნა 1952 წელს.

ჩინელ კალათბურთელებთან შეხვედრა



ორ კვირაზე მეტია თბილისში სტუმრად იმყოფებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდა კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები. აქ ისინი გადიან წვრთნას, ეცნობიან სპორტსმენთა მოწინავე კოლექტივების მუშაობას, მართავენ ამხანაგურ შეხვედრებს, ათვალიერებენ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ჩინელმა სტუმრებმა პირველი საერთაშორისო ამხანაგური საწვრთნელი შეჯიბრება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის კალათბურთელებთან გამართეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე 6 ივნისს. სტადიონი მორთული იყო სპორტული ალმებით, ლოზუნგებით რუსულ, ჩინურ და ქართულ ენებზე.

17 საათი და 30 წუთია. მოედანზე გამოდიან ჩინელი და თბილისელი კალათბურთელები. მაყურებლები გულთბილად ხვდებიან მათ, ერთსულოვანი ტაში დიდხანს არ ცხრება.

ჩინელ კალათბურთელებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. თ. სხირტლაძე. ჩინეთის სპორტული დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოთქვა გუნდების უფროსმა ჩაი ძი-სენმა.

მოედანზე პირველი გამოდიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და თბილისის „მედიკის“ ქალთა გუნდები. კაპიტნებმა ჯოუ ი-სიანმა და ნ. ჯაიანმა გაცვალეს სასპორტო ალმები, თბილისის გუნდის მოთამაშეებმა ჩინელ მეგობრებს უძღვნეს ყვავილები, ალბომები და რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ქალთა გუნდების საწვრთნელი ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 59 : 46 თბილისელ კალათბურთელთა სასარგებლოდ.

ვაჟთა გუნდების შეხვედრა აგრეთვე დამთავრდა თბილისელი კალათბურთელების გამარჯვებით. დინამოელებმა თამაში მოიგეს ანგარიშით 75 : 45.

შეჯიბრებამ გულთბილ ამხანაგურ ატმოსფეროში ჩაიარა. ჩინელ სპორტსმენთა შემდეგი თამაში დანიშნულია 9 ივნისს.

სურათებზე: ზევით — ჩინელი კალათბურთელები პარაზე; ქვევით (მარცხნიდან) ვაჟთა გუნდების შეხვედრის ერთი მომენტი. თბილისელი კალათბურთელი ქალები სტუმრებს თაიგულებს მიართმევენ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ლენინგრადი. 6 ივნისი. კიროვის სახელობის სტადიონზე თამაშობდნენ გორკის „ტორპედოსა“ და ლენინგრადის „შრომითი რეზერვების“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1 : 1.

 კუიბიშევი. 6 ივნისი. ხარკოვის „ლოკომოტივმა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ გამართეს XVI ჩემპიონატის პირველი წრის უკანასკნელი ასპარეზობა. გიმარჯვეს ლოკომოტიველებმა ანგარიშით 1 : 0.

მოსკოვი. 7 ივნისი. საბჭოთა კავშირის 1953 წლის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ გუნდების შეჯიბრებით დაიწყო სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეორე წრე. მატჩი მოიგეს სპარტაკელებმა 5 : 0.

ძ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ბ. ვ. აკიმენკო საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის პირველ მოადგილედ.

ამხ. გ. გ. ავეტისოვი საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ, გაათავისუფლა იგი საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

ამხ. მ. ი. ჯაში საქართველოს სსრ ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

8 ივნისს
ზ. ფალიაშვილი — **დაისი**
(დ. გამრეკელის მონაწილეობით).

9 ივნისს
ბ. ასაფიევი —
ბალჩისარაის შადრევანი
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის სამინისტროს თბილისის ნავთობის ტექნიკუმი აცხადებს 1954-1955 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას ქართული და რუსული სექტორის პირველ კურსზე.

ტექნიკუმში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 14-დან 30 წლის ასაკამდე. ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს „ნავთობის ჭაბურღილების ბურღვის“ სპეციალობით. სწავლების ხანგრძლივობა 4 წელია.

ტექნიკუმში ჩარიცხული ყველა მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება: ფორმის ტანსაცმლით და თვეში 285 მანეთი სტიპენდიით. ფრიადოსნებს სტიპენდია მიეცემათ 25 პროცენტის დამატებით.

განცხადებები და საბუთები მიიღება ტექნიკუმის კანცელარიაში 1954 წლის 31 ივლისამდე (ჩიტაძის ქ. № 9) მისაღები გამოცდები მოეწყობა 1954 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმში ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკას ესაჭიროება მოწაფე ქალები. პირობებისათვის მიმართეთ ფაბრიკის კადრების განყოფილებას. ჩელუსკინელების ქ. № 18.

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1954-55 სასწავლო წლისათვის სტუდენტთა მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

სამშენებლო ფაკულტეტი: სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორი), მდინარის ნაგებობათა და ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ქართული სექტორი), საშუალო და მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა (ქართული სექტორი), წყალმომარაგება და კანალიზაცია (ქართული სექტორი), ავტომაგისტრალები და საქალაქო გზები (ქართული სექტორი), არქიტექტურა (ქართული სექტორი).

ელექტროტექნიკის ფაკულტეტი: ელექტროსადგურები, ქსელები და სისტემები (ქართული და რუსული სექტორი), სამრეწველო საწარმოთა ელექტროფიკაცია (ქართული და რუსული სექტორი).

სამთო ფაკულტეტი: სასარგებლო ბუდობების გეოლოგია და ძიება (ქართული და რუსული სექტორი), მადნეული ბუდობების დამუშავება (ქართული სექტორი), ფენობრივი ბუდობების დამუშავება (ქართული და რუსული სექტორი), სამარკშეიდერო საქმე (ქართული სექტორი), სამთო ელექტრომექანიკა (ქართული და რუსული სექტორი), სამთო საწარმოთა მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორი).

ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი: არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი), სილიკატების ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორი), ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია (რუსული სექტორი).

მექანიკის ფაკულტეტი: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (ქართული სექტორი), ავტომობილები, საავტომობილო ტრანსპორტი (ქართული და რუსული სექტორი), კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანები და მოწყობილობა (ქართული სექტორი).

მეტალურგიის ფაკულტეტი: შავი ლითონების მეტალურგია (ქართული სექტორი), შავი ლითონების წნევით დამუშავება (ქართული სექტორი), სამსხმელო წარმოება (ქართული სექტორი).

მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი: ბოჭკოვანი მასალების მექანიკური ტექნოლოგია (ქართული სექტორი), ტყავის ნაგებობათა ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

ნავთობის ფაკულტეტი: ნავთობებისა და გაზის ბუდობების ექსპლატაცია (ქართული და რუსული სექტორი), ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა (ქართული სექტორი), ნავთობისა და გაზის ბუდობების გეოლოგია და ძიება (ქართული სექტორი).

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიღება იწარმოებს იმავე სპეციალობებზე შემდეგ სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ჭიათურა და რუსთავი.

მიღების წესები იგივეა, რაც სსრ კავშირის ყველა უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისათვის.

შემომსვლელებს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე შემოაქვთ განცხადება დაწესებული ფორმის მიხედვით, არჩეული ფაკულტეტის, სპეციალობისა და სექტორის აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: სიმწიფის მოწმობა (დიპლომი) საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ (დედანი); ავტობიოგრაფია; პასპორტი (ადგენს პირადად); ფოტოსურათი 3 ცალი (დამოწმებული) ზომით 3×4 სმ. უქუდოდ; სამხედრო ბილეთი (სათადარიგო სამხედროვალდებულთათვის) ან წვევამდელთათვის სამხედრო მიწერის მოწმობა (ადგენს პირადად); საექიმო ცნობა (ფორმა 286), შევსებული სკოლის, საბავშვო ან რაიონული საავადმყოფოს (პოლიკლინიკის) ექიმის მიერ; ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობისა და სპეციალობის აღნიშვნით (დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის).

განცხადებები მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე ყოველდღე (გარდა კვირადღისა), 12 საათიდან 19 საათამდე საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში (უშანგი ჩხეიძის ქ. № 8).

დაუსწრებელ განყოფილებაზე (რაიონში შემსვლელთათვის) სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში: ყუთაისი — სტალინის ქ. მეორე ჩიხი № 3, ავტოტექნიკუმი; ბათუმი — შუმიანის ქ. № 49; ფოთი — კიროვის ქ. № 48; ჭიათურა — სტალინის ქ. № 44; რუსთავი — მეორე ქართული საშუალო სკოლა.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისათვის დამტკიცებული პროგრამების მოცულობით.

ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (უშანგი ჩხეიძის ქ. № 8), ხოლო დაუსწრებელზე შემომსვლელთათვის — (რაიონებში) აღნიშნული მისამართების მიხედვით.

ცეკავშირის კოოპერაციული ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას საბუჭალტრო და საქონელმცოდნეობის განყოფილებათა I და II კურსზე 1954-55 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმი ამზადებს ბუჭალტრებს და საქონელმცოდნეებს სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული კავშირებისათვის. სწავლის ხანგრძლივობა ორივე განყოფილებაზე: I კურსზე ჩარიცხულთათვის — 3 წელი, II კურსზე ჩარიცხულთათვის — 2 წელი.

1953 და 1954 წლებში ორასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ხუთოსნები მიიღებიან უგამოცდოდ, დანარჩენნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. სსრ კავშირის კონსტიტუციაში, 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი), 3. რუსულ ენაში (წერა, ზეპირი), 4. ქართულ ენაში (წერა, ზეპირი).

1953 და 1954 წლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ხუთოსნები მიიღებიან მეორე კურსზე უგამოცდოდ, დანარჩენნი აბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლების პროგრამის მიხედვით: 1. სსრ კავშირის ისტორიაში, 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი), 3. რუსულ ენაში (წერა, ზეპირი), 4. ქართულ ენაში (წერა, ზეპირი).

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

განცხადებები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, 5. ფოტოსურათი 3 ცალი (შემოწმებული), 6. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

ტექნიკუმში მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ბინით, სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით და სასადილოს მომსახურებით.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 88, ტელეფონი № 3-07-84.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პროფ. ს. ვირსალაძის სახელობის მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს კლინიკური ორდინატორის ერთ თანამდებობაზე.

კონკურსზე დაიშვებიან ექიმები 35 წლის ასაკამდე, რომელთაც აქვთ პრაქტიკული სტაჟი არანაკლებ 3 წლისა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომის ასლი, დახასიათება, ცნობა მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, ფოტოსურათი.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

განცხადებები მიიღება მალარიისა და სამედიცინო პარაზიტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის სახელზე (პლეხანოვის პრსპ. 139).

ბ ა ნ ო ბ ა

ბ ა ნ ო ბ ა

ბ ა ნ ო ბ ა